

გულიკო კვანტიძე

## საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთი – ბოხჩა

საოჯახო ნივთებს შორის, ყურადღებას იქცევს, ერთი საინტერესო საფეიქრო ნაწარმი – ბოხჩა. ის ძველად კავკასიასა და შესაძლოა მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებისათვის თანამედროვე ჩანთის ფუნქციას ასრულებდა. ბოხჩას დღეს აღარავინ ხმარობს და დიდი ხანია დავინწყებას მიეცა, მაგრამ მისი ხმარება XX საუკუნის პირველი ნახევარშიც დასტურდება თბილისში.

როგორც მთხრობელი ციალა ბერულაშვილი (83 წლის) გადმოგვცემს, ბავშვობაში, დედასთან ერთად აბანოში მისულს, ყურადღება მიუქცევია ფუთასათვის, რომელშიც ტანსაცმელი ყოფილა გამოკრული. სავარაუდოდ, ფუთა აბანოსათვის განკუთვნილი ბოხჩა უნდა ყოფილიყო.

„ბოხჩა“ ოთხკუთხა ფორმის ქსოვილია, რომელსაც კერავდნენ ან სადა ქსოვილისაგან, ან სხვადასხვა ფერის ნაკუნებისაგან (სურ. №1). მასალად იყენებდნენ: აბრეშუმს, ფარჩას, შალს, ყალამქარს, ქირმანშალს და იშვიათად ტყავს [1: 192]. ბოხჩას ხმარობდნენ თეთრეულის, ტანსაცმლისა და სხვა მცირე ზომის ნივთების სატარებლად.

სულხან-საბას ლექსიკონში ბოხჩა//ბოლჩა განმარტებული არაა, შესაძლოა XVIII საუკუნეში არც ისე ხშირად ხმარობდნენ, ან ბოხჩის შესატყვისად სხვა ტერმინი იყო დამკვიდრებული. ასეთად შესაძლოა ვივარაუდოთ – „ფუთა“. იგი ფორმის, მასალის, ზომისა და დანიშნულების მიხედვით ბოხჩის მსგავსია. ფუთა, როგორც აბანოში სახმარი ნივთი („ფუთა დარაიასი“) ნახსენებია ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში [2: 495], მოგვიანებით კი მას ჩაენაცვლა ტერმინი „ბოხჩა“. მაგ.: ვინმე ტერმინასოვს თავის ქალიშვილ ეკატერინესათვის მზითვში დარაიას ბოხჩა გაუტანებია, როგორც აბანოსათვის განკუთვნილ ნივთი და არა „ფუთა“ [3: 403].

ადრეულ წერილობით წყაროებში ტერმინი „ბოხჩა“ არსად ფიქსირდება, მას მხოლოდ მზითვის წიგნებში ვხვდებით. სავარაუდოა, რომ ბოხჩა, როგორც აბანოსათვის სახმარი ნივთი,

XIX საუკუნის თბილისურ ყოფაში დამკვიდრდა. და მისი ამგვარი დანინაურება „თბილისური აბანოების“ პოპულარობას უნდა უკავშირშირდებოდეს.

აბანო, XIX-XX ს. I ნახევარში თბილისელებისათვის არა მარტო ჰიგიენური დანიშნულების ნაგებობა იყო, არამედ გასართობ-სანახაობით და საინფორმაციო ცენტრსაც წარმოადგენდა [4:59].

როგორც ი. გრიშაშვილი გადმოგვცემს, დრონატარები და ნაქეიფარი ყარაჩოლელები ქეიფს აუცილებლად აბანოში აგრძელებდნენ, სოფლიდან ჩამოსული გლეხებისათვის კი ის ტანთსაბანიც იყო და სასტუმროს მაგივრობასაც წევდა.

აბანო ქალებისთვისაც ერთგვარ გასართობ, „სალაყბო ადგილს“ წარმოადგენდა. ქალებს ბოხჩებით თეთრეული და ტანსაცმელი მიჰქონდათ აბანოში გასარეცხად. ისინი იქ დაბინდებამდე რჩებოდნენ და რეცხვისა და ბანაობის გარდა ჭიქა ჩაისთან ერთად ქალაქურ ამბებსაც უზიარებდნენ ერთმანეთს. იქვე ხდებოდა საპატარძლოების „გასინჯვა“ – შერჩევა, ახალი ტანსაცმლისა და სამკაულების გამომზეურება.

აბანოში წასვლა თბილისელებისათვის ერთგვარ რიტუალს წარმოადგენდა, რასაც კვირაში ორჯერ-სამჯერ მაინც ასრულებდნენ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიულ კოლექციებში დაცულია ქსოვილის (60-ზე მეტი) და ტყავის (რამოდენიმე ერთეული) ბოხჩების მეტად საინტერესო კოლექცია. ისინი განსხვავდებიან როგორც მასალის, ასევე ზომისა და დანიშნულების მიხედვით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოხჩის მასალად სხვადასხვა ფერისა და ხარისხის ქსოვილებს იყენებდნენ. მას ასარჩულებდნენ, ზედაპირს კი ქარგავდნენ სხვადასხვა ფერისა და ხარისხის (მულინე, აბრეშუმი, ოქრომკედი) ძაფებით (სურ. №1, 2). ბოხჩის მოსართავად კილიტებსა და მძივებსაც იყენებდნენ, ხოლო კიდებზე მაქმანებს ან ფოჩებს ამაგრებდნენ. ბოხჩის შემკულობა დამკვეთის სურვილსა და ოჯახის მატერიალურ შესაძლებლობაზე იყო დამოკიდებული.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამონმებული მასალისა და ნერილობითი წყაროების მიხედვით, ბოხჩას ყველა სოციალური წრის წარმომადგენელი ხმარობდა. ამ მხრივ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს აბრეშუმის ბოხჩა, რომელიც ერთ დროს ბაგრატიონების ოჯახს ეკუთვნოდა (4-20/2 ზომა: 103x103 სმ) (სურ. №3). ვხვდებით აგრეთვე უბრალო, ჩითის ბოხჩებსაც, რომლებიც, შესაძლოა, გლეხის ქალებისათვის იყო განკუთვნილი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიულ კოლექციებში დაცული ბოხჩებიდან ფორმის მიხედვით გამოვყობთ 2 ტიპს: ოთხკუთხა და კონვერტის მსგავს ბოხჩებს.

1. ოთხკუთხა ბოხჩებს განასხვავებენ ზომის მიხედვით. გვხვდება პატარა (35x35 სმ), საშუალო (51x51 სმ) და დიდი ზომის (150x150 სმ) ბოხჩები. დიდი ზომის ბოხჩებს ძირითადად აბანოს ბოხჩებს ეძახდნენ, რადგან ისინი უფრო მოსახერხებელი იყო სხვადასხვა ზომის ნივთების (ტანსაცმელი, თეთრეული) სატარებლად. დიდ და საშუალო ბოხჩებს სამგზავროდაც იყენებდნენ.

რაც შეეხება პატარა ბოხჩებს, მას ძირითადად მაღალი წრის ქალბატონები ხელჩანთად ხმარობდნენ. ამის გამო ხელჩანთა-ბოხჩების ზედაპირი მეტი მრავალფეროვნებით იმკობოდა. გაშლილ ბოხჩაზე ქალები დააწყობდნენ საჭირო ნივთებს, პარალელურ კუთხეებს ერთ ნასკვად გამოკრავდნენ, ნასკვში ხელს გაატარებდნენ და მაჯაზე გადაკიდებულს („რედიკულივით“) ატარებდნენ (სურ. №4).

2. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიულ კოლექციაში დაცულია აგრეთვე კონვერტის ფორმის ბოხჩები (3-40/5). ამგვარ ბოხჩებს ჯიბის ბოხჩებს ეძახდნენ, რადგან ის საფულის მაგივრობას სწევდა (სურ. №5).

ბოხჩას რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდა. მას იყენებდნენ ლოცვის სარტყელად უსტაბაშის მიერ ხელოსნად დალოცვისას [5: 83].

ქ. სიღნაღის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამონმეებული მასალების მიხედვით, ხელოსნად დალოცვილი პირი უსტაბაშს მხარზე გადაკიდებულ ბალდადს მიართმევდა, ის კი ჭრელ ბოხჩას წელზე დაუმაგრებდა. წესის მიხედვით, ხელოსანს ბოხჩა სამი დღე უნდა ეტარებინა, სანამ საღვთო არ დამთავრდებოდა [6: 102].

ბოხჩას მაჰმადიანი მლოცველები მუხლსაფენად ხმარობდნენ. ამგვარი ბოხჩა დაცულია მუზეუმის ეთნოგრაფიულ კოლექციებში. საინვენტარო დავთარში იგი გატარებულია როგორც „ნალოცი ბოხჩა“ (№63-26/47 ზომა: 41x40 სმ). იგი წარმოადგენს პატარა ზომის აბრეშუმის ქსოვილს, რომელსაც კიდებებზე ოქროსფერი ფორჩები შემოუყვება (სურ. №5).

ამგვარად, ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ XIX საუკუნეში ბოხჩას იყენებდნენ როგორც სამგზავროდ და ხელჩანთად, ასევე ის კარგად ასრულებდა საფულისა და მუხლსაფენის ფუნქციასაც. იგი მოსახერხებელი იყო აგრეთვე აბანოში ნივთების სატარებლად. ბოხჩა მოგვიანებით მოწმდება ქართულ ყოფაში, იგი თან სდევს თბილისური აბანოს დანიშნულებას XIX საუკუნეში.

გულიკო კვანტიძე

**Предмет бытового назначения - «бохча»**

Резюме

В XIX веке в Грузии «бохча» (узел, узелёк) применялся для переноски белья, одежды и разных мелких предметов обихода на близкие и относительно дальние расстояния (им особенно часто пользовались коробейники).

Бохча исполнял также функцию сумки, кошелька и наколенника. Он был удобен и для ношения предметов банного назначения и тесно связан с бытовой культурой в то время популярных тифлисских бань.

დამონმებული ლიტერატურა:

1. ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, თბ., 1986
2. ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ბათ., 1986
3. ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, თბ., 1973
4. „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, 1910
5. „საქართველოს სიძველენი“, ტ. I, 1899
6. ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984



სურ. № 1



სურ. № 2



სურ. № 3



სურ. № 4



სურ. № 5



სურ. № 6